

სახეს

2024, მარტი

საბარძეველურ კათოლიკოსო ყოვალთოხიური მაცხოვრებელი
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

ფიფი მსხვეს



რედაქციის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია

სოციალური..... 5-6

რვაენი ეკლესია 7-8

ინტერვიუ..... 9-10

ჩანართი:..... I-IV

იუბილე 11

სახარების სინარულის

მოხმენი..... 12-13

სოციალური გვერდი -

Iner Georgia..... 14-15

კათოლიკური

კულტურა 16

ახალი წიგნები 17-18

ინფორმაცია..... 19

მარტი

- 19** მარტი - წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა
- 24** მარტი - ბზობა
- 25** მარტი - უფლის ხარება წელს აღინიშნება 8 აპრილს (ვნების კვირის გამო)
- 26** მარტი - მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)
- 27** მარტი - დიდი ოთხშაბათი, მირონის წირვა საკათედრო ტაძარში
- 28** მარტი - დიდი ხუთშაბათი, უფლის სერობის წირვა
- 29** მარტი - წითელი პარასკევი, მძიმე მარხვის დღე, შესაწირი წმ. მიწისთვის
- 30** მარტი - დიდი შაბათი, საპასელო ღამისთევა
- 31** მარტი - აღდგომა





ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ...

მამა გაბრიელე ბრატანტინი CSS

ამაზე იმიტომ როდი ვსაუბრობ, რომ იტალიელი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთმა ქართველმა მომილოცა იტალიელი სპორტსმენის ბრწყინვალე გამარჯვება 28 იანვარს მელბურნში გამართულ დიდი სლემის ტურნირზე. 22 წლის იანიკ სინერიმ შეძლო და სძლია საკუთარ თავს, რამაც მოწინააღმდეგის აშკარა უპირატესობით დაწყებული მატჩი მოაგებინა და ჩოგბურთში ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა რუსი დანილ მედვედევის დამარცხების შედეგად. ეს იყო გონების, გულისა და სხეულის გამარჯვება! ამასთან დაკავშირებით, რომის პაპმა ფრანცისკემ აღნიშნა: „მთავარი ის კი არ არის, რომ არ დაეცე, არამედ „დაცემული არ დარჩე“. სინერი მორიდებულად ილიმება და თავაზიანად იქცევა; ზრდილი და გონიერია; მოკლედ, შემკულია ყველაფრით, რაც კი შეიძლება ახალგაზრდა ყმანვილზე ითქვას, ყველასათვის სანატრელ შვილსა თუ შვილიშვილზე. რა თქმა უნდა, ამაში ნვლილი მიუძღვით ოჯახის ნევრებსაც, რომლებიც დაკავებული იყვნენ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით, მაგრამ შორიდან ადევნებდნენ თვალს თავიანთ საოცარ ბიჭს.

იმიტომაც მსურს ამის შესახებ საუბარი, რომ ბოლო ხანებში ხშირად შევხვედრივარ სპორტის ამა თუ იმ სახეობით ზედმეტად დაკავებულ ბავშვებს და მათ მშობლებს, ყველაფერს რომ აკეთებდნენ მათ დასახმარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეულ ეტაპზე ენთუზიაზმს კარგავდნენ; სწორედ მათ გასაგონად მსურს გავაჟღერო იანიკ სინერის მიერ მისი ასაკისთვის უჩვეულო სიბრძნით ნათქვამი ორი ფრაზა, პირველი: არაფორმალური მაღლობა დანილ მედვედევის მიმართ: „გილოცავ, რადგან შენ მე უკეთეს მოთამაშედ მაქცევ, არასოდეს ნებდები

და მაიძულებ, უფრო ძლიერი დარტყმებით ვიბრძოლო“. ეს სიტყვები შეგვახსენებს სილამაზისა და საუკეთესოსთან შედარების აუცილებლობის შესახებ, რადგან ყოველთვის აქ არის გაუმჯობესების შესაძლებლობა. უნდა გიხაროდეს, როდესაც ჯაბნი შენს მოწინააღმდეგეს, ოღონდ არ უნდა დაგიპყროს „გამარჯვებულის მენტალიტეტი“, რასაც ასე ხშირად იყენებენ სხვების გასანადგურებლად.

მეორე, მისი მშობლების შესახებ ნათქვამი ამაღლებელი სიტყვებია: „ყველას ვუსურვებ, ჰყავდეთ ისეთი მშობლები, როგორც ჩემები არიან, ისინი ყოველთვის მაძლევდნენ არჩევანის თავისუფლებას“. ეს ნამდვილი პედაგოგიური მოწოდებაა. დიდებულია, უთხრათ არა „მაღლობა იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ“, არამედ „ყველას ვუსურვებ, ჰყავდეთ ისეთი მშობლები, როგორც თქვენ ხართ“. სინერის გამარჯვება იმ ადამიანის მშობლების გამარჯვებაცაა, რომელიც თავისუფალი იყო არჩევანში და არასოდეს არავინ აიძულებდა გამარჯვებას, თითქოს ეს მაღლიერების ვალიც იყო. სწორედ ამიტომ არსებობენ ისინი.

არიან მშობლები, რომლებიც არ უყვირიან მსაჯს, როცა მათი შვილის „გოლს“ აუქმებს, არ ცდილობენ მასწავლებლის წინაშე თავიანთი შვილის დაცვას ნებისმიერ ფასად, არ მიიჩნევენ ფენომენად თავიანთ შვილს და არ ფიქრობენ მხოლოდ განდიდებასა და მილიონებზე. არიან მშობლები, რომლებიც მუდამ არ ახდენენ საკუთარი თავის პროეცირებას თავიანთ შვილებზე. მათი პოვნა არც ისე რთულია, საკმარისია, მიმოვიხედოთ გარშემო, ან გადავხედოთ ბავშვთა დღიურებს, ყველანაირ დავალებებს რომ იტევს, გარდა რელიგიურისა.

აღზრდა განსხვავდება მითითებებისაგან, ყვირილისა ან თავის მოჩვენებისაგან, თითქოს ყოველთვის ყველაფერი კარგადაა. საკმარისი არ არის მხოლოდ „ტექნიკა“ ვასწავლოთ სპორტსმენს, თანამშრომელს, სტუდენტს, ბავშვს ან მორწმუნეს. საჭიროა სათანადო პირობების შექმნა, რომ მათმა ნიჭმა, მათმა იდეალებმა და... რწმენამ დეტონატორის როლი შეასრულოს, აენთოს, აფეთქდეს. მრავალ პირობას შორის კი არჩევანის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი და ალბათ გადამწყვეტია ყველასთვის. თავისუფლება ნიშნავს არა იმას, რომ რაც მოგესურვება, ის აკეთო, არამედ აკეთო ის, რისთვისაც ხარ მოწოდებული.

ამაზე ვსაუბრობ სწორედ დიდმარხვის პერიოდში, რომელიც ჩვენი „სულიერი მზადების“ ჟამია აღდგომისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც შედგება პირადი და საერთო ლოცვისგან, მარხვისგან (არა მხოლოდ საკვებით), გულმონყალების საქმეებისგან, ასევე ვიფიქროთ იანიკის შრომის, ვარჯიშის, დაღვრილი ოფლის შესახებ, თუ რამდენ რამეზე მოუწევდა უარის თქმა... ლამის ოთხსაათიან სეტზე, შესვენებებზე, მის ძლიერ დარტყმებზე და, ბოლოს, თავბრუდამხვევ დაბრუნებაზე... მაღლა დაკიდებულ მონიტორზე, რომელიც ფართო ეკრანზე გვაჩვენებდა კორტზე დაწოლილ, გათანგულ, მაგრამ ბედნიერ სპორტსმენს.

24 მარტი: ნამებულ მისიონერთა ოსდამეთორმეტე მსოფლიო დღე

2024 წლის 24 მარტს აღინიშნება ნამებულ მისიონერთა ოცდამეთორმეტე მსოფლიო დღე, რომელიც სან-სალვადორის არქიებისკოპოს ოსკარ რომეროს მკვლელობის (1980 წ.) დღეს ემთხვევა. მისიონერთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელიც გასულ 22 ოქტომბერს აღინიშნა, რომის პაპი ფრანცისკე შემდეგს აცხადებდა: „ქრისტესმიერ სიახლოვეს გამოვხატავ მსოფლიოს ყველა მისიონერთან, განსაკუთრებით მათთან, ვისაც მძიმე განსაცდელი უდგას: აღმდგარი უფალი, ძვირფასო, მუდამ შენთანაა და ხედავს შენს დიდსულოვნებას და ევანგელიზაციის მისიისთვის გაღებულ შენს მსხვერპლს შორეულ ადგილებში. ცხოვრებაში ყოველი დღე მზით განათებული ვერ იქნება, მაგრამ მუდამ გვახსოვდეს უფალ იესოს სიტყვები მოციქულებისადმი, მის ვნებამდე: „წუთისოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამხნევდით! მე ვძლიერ სოფელს.“ (იოანე 16, 33).

2023 წელს მსოფლიოში ოცი მისიონერი მოკლეს: ერთი ეპისკოპოსი, რვა მღვდელი, ორი სასულიერო პირი, ერთი სემინარისტი, ერთი მორჩილი და შვიდი ერისკაცი, მამაკაცი და ქალი, ორ მისიონერთან ერთად. გასულ წელთან შედარებით, დაღუპულთა რიცხვი გაზრდილია. კონტინენტური გადანაწილებით, წელს მკვლელობის ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნა აფრიკაში, სადაც ცხრა მისიონერი დაიღუპა. ამერიკაში მოკლეს ექვსი მისიონერი, აზიაში - ოთხი ერისკაცი მორწმუნე, ევროპაში - ერთი ერისკაცი. არსებული მონაცემებით, 1990-2000 წლების ათწლეული ყველაზე სისხლიანი პერიოდი იყო, სულ 604 მისიონერი დაიღუპა. 2001-2022 წლებში ეკლესიაში მოღვაწე პირთა საერთო რაოდენობა 544-ს შეადგენს.

ქრისტიანული თემები ოდითგანვე პატივისცემით კრძალავდნენ მათ, ვინც სისხლის უკანასკნელ

წვეთამდე ამონებდა თავის რწმენას, იკრიბებოდნენ მათ სამარხთან და სიხარულით აღნიშნავდნენ „რეფრიჯერიუმს“ (refrigerium - მიცვალებულთა მოსახსენებელი ტრაპეზი სასაფლაოზე) საკითხავებითა და ლოცვებით, ხოლო შემდგომ ევქარისტიული წესით. ნამებულისადმი პატივისცემა ნიშნავდა იმის გახსენებას, თუ როგორ უპასუხა მან უფლის მოწოდებას და მის მიჩნევას საკუთარი ცხოვრების მაგალითად. მონამე ხშირად იგივებოდა ტერტულიანეს გამონათქვამთან: „Christus in martyre est“ („ქრისტე მონამეშია“). ქრისტესთან მიმართებაში მონამეობა სიყვარულის ნიშანია და არა ძალადობის. მონამეობა არასოდეს არის უნაყოფო. ამიტომ ეკლესია კვლავაც მოიგონებს იმ ადამიანებს, რომელთაც ყველა განედზე, ყველა ეპოქაში უყოყმანოდ დაუღვრიათ საკუთარი სისხლი ქრისტესა და მისი სახარების გულისთვის.

ზოგიერთი მორწმუნე, რომელმაც თავისი მარტვილობით დაამონმა რწმენა, ოფიციალურად არის აღიარებული წმიდანად და გვევლინება მთელი ეკლესიის ნიმუშად; ბევრი მათგანი უმრავლესობისთვის უცნობი რჩება, მაგრამ, ცხადია, არა ღმერთისთვის; სხვები კი კვლავაც აგრძელებენ ქრისტეს ქადაგებას თავიანთი საქმეებით და სულიერი შვილებისთვის დატოვებული მემკვიდრეობით. 24 მარტს და მთელი დიდმარხვის განმავლობაში გავერთიანდეთ ყველა მისიონერისთვის ლოცვაში, განსაკუთრებით მათადმი, ვინც უფლის მსახურებისას განირა თავისი სიცოცხლე; მარხვის განმავლობაში გავილოთ კონკრეტული წვლილი, როგორც სატრაპეზო შესანიშნავი, რათა მხარი დაუჭიროთ პროექტებს, რომლებიც იმ ადამიანთა განვითარებისა და დახმარების მიზნით ხორციელდება, ვინც ნათელ და ღირსეულ მომავალს საჭიროებს.

მამა გაბრიელ ბრაზანტინი

ბავშვები ღაზის სექტორიდან ვატიკანის საავადმყოფოში მკურნალობენ




ღაზის სექტორში საბრძოლო მოქმედებებისას დაშავებული თერთმეტი მცირეწლოვანი წმიდა საყდრის „ყრმა იესოს“ პედიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობს. „სექტორიდან ბავშვების გამოყვანა ერთობ რთული იყო. ჩვენი სია ვრცელია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ თერთმეტი ბავშვის ჩამოყვანა მოვახერხეთ. როგორც იქნა, ამ ბავშვების სახეებზე ღიმილი დავინახეთ. ამბობენ, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარეს. დროა, ეს ყველაფერი დასრულდეს. მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა მხარეთა შეთანხმებაა“, - აღნიშნა წმიდა მიწის სამრევლოს ვიკარიუსმა, მამა იბრაჰიმ ფალტასმა.

„საიდუმლოებათა აღსრულების დადგენილი წესის დარღვევა დაუშვებელია“

3 თებერვალს წმიდა საყდარმა გამოაქვეყნა რწმენის მოძღვრების დეპარტამენტის დოკუმენტი *Gestivis verbisque*, რომლის მიზანი საიდუმლოთა აღსრულების წესის დარღვევის აღკვეთაა. შესავალ ნაწილში დეპარტამენტის პრეფექტი, კარდინალი ვიქტორ მანუელ ფერნანდესი განმარტავს დოკუმენტის შედგენის მოტივს და აღნიშნავს, რომ გახშირდა შემთხვევები, როცა ეკლესიას აღსრულებულ საიდუმლოებათა უქმად აღიარება უწევს. მიზეზი აღსრულების წესში მღვდელმსახურის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ შეტანილი ცვლილებებია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საიდუმლოება ადამიანის მიერ აღსრულება, მაგრამ მასში ქრისტე მოქმედებს. აღსრულების წესი მოიცავს ნივთიერ ელემენტებს (როგორცაა პური, ღვინო, წყალი), რაიმე ნიშანს ან შესტს (პირფერის გადასახვა) და სიტყვას, რომლის წყარო მუდამ წმიდა წერილია. საიდუმლოთა აღსრულების წესი, დადგენილი ეკლესიის მოძღვრების მიერ, დაცულია მის ცოცხალ გადმოცემაში და მუდამ ზედმინევნით და შეუცვლელად უნდა იქნეს შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია არ ენინააღმდეგება ცვლილებებს, მათ შორის, ლიტურგიის განახლებას. წმიდა ლიტურგიის შესახებ ვატიკანის მეორე კრების კონსტიტუციის (*Sacrosanctum Concilium*, 21) თანახმად, „ლიტურგია შედგება უცვლელი, ღმრთივდადგენილი ნაწილისგან და ცვალებადი ნაწილებისგან, რომლებიც დროში შეიძლება იცვლებოდეს და კიდევ უნდა იცვლებოდეს“. თუმცა ის, რაც საიდუმლოების აღსრულებაში არსებითია, უცვლელი უნდა დარჩეს.





LEGO-ს ახალი არქიტექტურული ნაკრები: პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

კომპანიის პრეს-რელიზის თანახმად, ახალი ნაკრები 4400 დეტალისგან შედგება და ელემენტების რაოდენობით მესამე ადგილზეა კოლიზეუმის (9000 დეტალი) და ეიფელის კოშკის (10 000 დეტალი) შემდეგ. ნაკრების გაყიდვა დაიწყება პირველ ივნისს, ტაძრის მოსალოდნელ გახსნამდე ნახევარი წლით ადრე.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაცია კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება, თუმცა ღვთისმსახურების აღდგენა წლის ბოლოს, დეკემბერში, იგეგმება.

ღაზის სექტორში დაღუპული ქრისტიანები

საქველმოქმედო ორგანიზაციის Church in Need განცხადებით, ჰამასის მიერ გაჩაღებულ ბოლო კონფლიქტს ოფიციალური მონაცემებით ამ დროისთვის ოცდაათი ქრისტიანი ემსხვერპლა. ჩვიდმეტი ადამიანი ბერძნული მართლმადიდებლური სამრევლოს კომპლექსის ნაგრევებში დაიღუპა; ორი ქალი წმიდა ოჯახის კათოლიკურ სამრევლოში სნაიპერებმა მოკლეს; თერთმეტი ადამიანი, რომელთაც სხვადასხვა ქრონიკული დაავადება ჰქონდათ, სათანადო მკურნალობისა და წამლების არქონის გამო გარდაიცვალა.

ქრისტიან ღვთისმსახურთა დევნა ინდოეთში

ინდოეთის 11-მა შტატმა მიიღო კანონი ძალადობრივი მოქცევის წინააღმდეგ. სინამდვილეში, ხელისუფლების მხრიდან ხდება ახალი კანონის ავად მოხმარება. რამდენიმე მღვდლისა და მონაზვნის დაპატიმრების შემდეგ ბარეილის მთავარეპისკოპოსმა იგნატიუს დსუზამ სოციალურ ქსელებში მიმართვა გაავრცელა: „გთხოვთ, ლოცვით შეძრათ ზეცა, რათა სულიწმიდამ გონება გაუნათოს ამ საქმეთა შემოქმედებს, ჩვენი დები და ძმები კი რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ ციხიდან“. იერარქი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება დევნის და აპატიმრებს როგორც კათოლიკე ღვთისმსახურებს, ასევე სხვა დენომინაციების წარმომადგენლებსაც. თანაც აღნიშნული კანონით იკრძალება გირაოთი გათავისუფლება, ამიტომ დაპატიმრებულები სასამართლომდე ციხეში დარჩებიან. ინდოეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციამ 7 თებერვალს გამოაქვეყნა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ინდოეთის სხვადასხვა კუთხეში გრძელდება და დღითიდღე ძლიერდება ქრისტიანთა დევნა. თავს ესხმიან ბავშვთა თავშესაფრების, საგანმანათლებლო ცენტრების, სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებს. ძალადობრივ მოქცევაში ცრუ ბრალდებები ჩვეულ საქმედ იქცა“.





„ღმერთს თავისუფლებისკენ უდაბნოს ბავლით მივყავართ“

დიდმარხვასთან დაკავშირებით, რომელიც წელს 14 თებერვალს დაიწყო, პაპმა ფრანცისკემ სპეციალური ეპისტოლე გამოაქვეყნა. „გამოსვლის წიგნის“ (20, 2) პასაჟიდან გამომდინარე, წმიდა მამამ აღნიშნა, რომ ღმერთს ადამიანი უდაბნოს გავლით მიჰყავს და მას კარს უღებს თავისუფლებისაკენ იმ მცნებების მეშვეობით, რომლებიც სიყვარულს გვასწავლიან და მჩაგვრელი კავშირებისაგან გვათავისუფლებენ.

„დიდმარხვა არის მადლიანი ჟამი, როცა უდაბნო იქცევა პირველი სიყვარულის ადგილად (ოსია, 2,16-17), მაგრამ ამ ორმოცდლიანმა მარხვამ ნაყოფი რომ გამოიღოს, რეალობას თვალი უნდა გავუხსნოროთ და გულგრილობისგან უნდა გამოვფხიზლდეთ. ჩვენ ჯერ კიდევ ფარაონის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, რომელიც იპარავს მომავალს და აბინძურებს ჩვენს მინას, ჩვენს სულებს, ხოლო ჩვენ, თავისუფლების ნაცვლად, კვლავ მონობისკენ ვართ მიდრეკილნი. „გამოსვლის წიგნი“ გვიჩვენებს, რომ ღმერთი გვერდით უდგას ადამიანებს და მათ ათავისუფლებს, მაგრამ გვინდა კი ჩვენ ახალი მსოფლიო? მზად ვართ, გავთავისუფლდეთ ნარსულის კომპრომისებისაგან? იმედის დეფიციტი ხელს უშლის ოცნებას, რის გამოც, მიუხედავად მეცნიერების, ტექნოლოგიების, კულტურისა და სამართლის პროგრესისა, ჩვენ კვლავ ვიმყოფებით უთანასწორობისა და კონფლიქტების წყვილადში.

დიდმარხვა არის ჟამი გამოცდისა, მოქცევისა და თავისუფლებისა. უდაბნოში იესო ცდუნებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოროტზე გამარჯვებული გამოვიდა იქიდან. მინიერი კერპები - ამბიციები, ფული, პროექტები, სოციალური მდგომარეობა, ტრადიციები - ეს ყველაფერი გვანგრევს და

წინ გვეღობება. „სულით ღარიბნი“ არ ნებდებიან საცდურს. ისინი შეიარაღებული არიან კეთილი ძალით, რომელიც ზედმეტი სიტყვების გარეშე კურნავს ადამიანს და გვერდში უდგას სამყაროს. დიდმარხვა ქრისტიანებს მოუწოდებს, შეჩერდნენ, მეტი დრო ლოცვას დაუთმონ, მზაობით მიიღონ ღვთის სიტყვა, დაეხმარონ მათ, ვინც საჭიროებს ჩვენს ზრუნვასა და ყურადღებას.

ღვთის მყოფობისას, ჩვენ, ყველანი, ძმები და დები ვხდებით და განახლებული ძალით თავს სულსხვა ადამიანებად ვგრძნობთ. მუქარისა და მტრობის ნაცვლად მეგზურები ვხდებით. ღვთის ოცნებაა, ალტქმული მინიდან, რომლისკენაც ასე ვისწრაფვით, გამომდინარეობდეს ძმობა“.

წმიდა მამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლოცვა, მარხვა და მონყალება არის არა სამი სხვადასხვა სავარჯიშო, არამედ ერთი მთელი, კერპებისა და ბოროტი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების საშუალება.

პაპი ასევე შეეხო თანამედროვეობის მტკივნეული პრობლემებისა და ომების საკითხსაც: „ჩვენ ვართ არა აგონიაში, არამედ ცვლილების ახალი ეპოქის დასაწყისში; მშვიდობაზე ასეთი შეხედულებებისათვის საჭიროა გამბედაობა. ქრისტიანები, თავის მხრივ, უნდა ეხმარებოდნენ საკრებულოებს ცხოვრების წესის გააზრებაში, ზრუნავდნენ ქმნილებებზე და წვლილი უნდა შეჰქონდეთ საზოგადოების გაუმჯობესებაში“.

ეპისტოლის ბოლოს, პაპი ფრანცისკე აღნიშნავს, რომ დიდმარხვა შემოქმედებითი, ხელახალი დაბადებაა, ახალი იმედის ცისკარია: „როცა ვრისკავთ და ვეძებთ, რწმენისა და მონყალების საქმეები გვეხმარება ამ გზის გავლაში“.

წმიდა ნინოს დღესასწაული ახალციხეში



წმიდა ნინოს დღესასწაულს მსოფლიოში ზეიმობენ 1807 წლიდან, ხოლო საქართველოში - 2007 წლიდან, როდესაც აქ ჩამოვიდნენ წმიდა ნინოს კონგრეგაციის დები. კონგრეგაციას, რომლის მფარველადაც მიჩნეულია მოციქულთასწორი წმიდა ნინო, დაფუძნების დღიდან ხელმძღვანელობდა და მარინუელი, შემდგომში - ან გარდაცვლილი და მარინეტა, დღეს კი ორდენს მეთაურობს და უორჟეტი კატოვია საჰანი. ამჟამად ორდენი აერთიანებს ას ორმოცდაშვიდ მონაზონს, რომლებიც მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში მოღვაწეობენ. დების მისია ადამიანებთან ურთიერთობა და მათი დახმარებაა. ამ მიზნით მონაზვნებმა ქალაქ ახალციხეში დააარსეს შუშ პირთა ცენტრი „ტალიტა კუმი“, რომელიც შემდგომ კამილიელთა ცენტრს შეუერთდა. დები ამ ცენტრში შუშ პირებთან მუშაობას კვლავ განაგრძობენ.

წელს, 27 იანვარს, წმიდა ნინოს დღესასწაული ახალციხის სამრევლოში განსაკუთრებულად აღინიშნა. წმიდა ნინოს კონგრეგაციის დებმა სხვა კონგრეგაციებისა და ორდენების მონაზვნებს უმასპინძლეს, კერძოდ, ბენედიქტელ დედებს, დედა ტერეზას დებს, წმიდა ელისაბედისა და წმიდა იოსების მცირე ასულთა დებს. კამილიელ ბერ მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯთან ერთად, მათ ერთობლივი სულიერი შეხვედრა გამართეს.

სადღესასწაულო კვირის წირვის შემდგომ, მეორე დღეს, ისევ გაგრძელდა ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალციხის მამათა მონასტრის მამებმა, წმიდა ნინოს დების მეგობრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. წმიდა ნინოს დების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სკეტჩი, თუ როგორ დაარსდა მსოფლიოში წმიდა ნინოს კონგრეგაცია. დასასრულს, სტუმრებს გაუმასპინძლდნენ სადილითა და ტკბილეულით.

გმადლობთ, უფალო, სასიამოვნო და კარგი დღისათვის! მადლობა წმიდა ნინოს დებს, ვუსურვებთ მათ სიკეთეს, მხნეობას და მეგობრებთან ერთად მრავალი სასიკეთო საქმის კეთებას სამრევლოსათვის.





ორბანი - მუსიკალურ ინსტრუმენტთა მეფე

იტალიის ქალაქ ვერონიდან ჩამოსულმა ორბანის ხელოსანმა დიეგო ბონატომ, ფედერიკო მანტოვანისთან ერთად, 4 იანვარს დაასრულა პადერბონის ეპარქიის (გერმანია) მიერ მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრისათვის საჩუქრად გადაცემული მილებიანი ორგანის აწყობა. გთავაზობთ მასთან მოკლე ინტერვიუს.

ვერონიდან ბრძანდებით, გვიამბეთ, როგორ ჩამოხვედით საქართველოში?

დიახ, მეც და ჩემი თანაშემწეც ვერონიდან ვართ; ვიცნობდი მამა ლუიჯი მანტოვანის. პირველად 1998 წელს ჩამოვედი საქართველოში, რათა მენახა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკური ეკლესიის ორგანი, რომელიც თითქმის უფუნქციოდ იყო, არ უკრავდა. შემდეგ, 2001 წელს, ჩავატარეთ სამუშაოები, გამოვუყვავალეთ ძრავა, ჩავუტარეთ გენერ-

ალური წმენდა და ვიმუშავეთ სხვა დეტალებზეც. ეპისკოპოს ჯუზეპეს მრავალი წლის მანძილზე ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ საკათედრო ტაძარში მილებიანი ორგანი დაედგა. საბოლოოდ, მრავალი მცდელობის შემდეგ, გერმანიაში, კელნის მახლობლად, კათოლიკურ ეკლესიაში იპოვეს Stockmann/Feith-ის ფირმის მიერ ელექტრო გადაცემით აწყობილი ორგანი, კარგ მდგომარეობაში, მხოლოდ კლავიატურას სჭირდებოდა განახლება, ასევე განახლდა ელექტრო ტრანსმისია. გერმანიაში ინსტრუმენტი ათასობით ნაწილად დაშალეს და თბილისში გადმოაგზავნეს, ხოლო კონსოლი (ორგანის ნაწილი, რასაც უშუალოდ შემსრულებელი ეხება) ვერონაში გადაიგზავნა, სადაც რესტავრაციული სამუშაოები შესრულდა. თბილისში ჩამოსულებს, სამი-ოთხი დღე დაგვჭირდა, რომ გავრკვეულიყავით ყველა დეტალში და ტაძარში მონტაჟს შევდგომოდით.

როგორი ინსტრუმენტია ორგანი?

ორგანი იშვიათი, რთული და მიმზიდველი ინსტრუმენტი, ამიტომ სამუშაოს ყოველთვის დიდი ყურადღებით, სიყვარულითა და გულისხმიერებით ვასრულებთ. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს, რომელთაც ვხვდებით, ესმოდათ ეს. ფაქტობრივად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ვინც გვიცნობს, ყოველთვის აფასებს ჩვენს შრომას. ეს რთული და უზუსტესად შესასრულებელი სამუშაოა. ინტერნეტის ეპოქაში ადვილად დასაჯერებელია, რომ ყველაფრის მიღწევა შეიძლება ღილაკზე უბრალო დაწკაპუნებით, სწრაფი შედეგების მიღება განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. ჩვენი სამუშაო ასე არ სრულდება: საჭიროა სიყვარული, დრო, ცოდნა, მიზანდასახულობა, შეუპოვრობა, სიმშვიდე, თანამშრომლობისა და ჰარმონიის სურვილი, მოსმენა.

როდის დაიწყეთ ორგანის ხელოსნად მუშაობა?

ფორტეპიანოზე დაკვრა 7 წლის ასაკში დავიწყე... ხოლო ორგანთან დაკავშირებულ სამუშაოებს 16 წლის ასაკიდან ვასრულებდი, ასე რომ, უკვე 45 წელზე მეტია ამ საქმეს ვემსახურები. ფედერიკოსთან და, უფრო ადრე, სხვა კოლეგებთან ერთად, ოცზე მეტი ორგანის რეკონსტრუქცია ჩავატარე და ასობით სამუშაო შევასრულეთ რომში,



იტალიასა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. ეს დიდი გამოცდილებაა... ორგანის რეკონსტრუქცია ზოგჯერ რთულია და გაუგებრობაც იჩენს თავს. ზოგჯერ ორგანის კონსტრუქტორები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს და ფასი, ხარისხი და მომსახურება ყოველთვის ერთნაირი არ არის: ამ ყველაფრის ახსნა კომპეტენტური თუ არაკომპეტენტური ადამიანებისათვის ხშირად ადვილია როდია.

როგორი იყო თქვენი სამუშაო საქართველოში?...

გვეამაყება, რომ ვმუშაობდით საქართველოში, ვინაიდან ეს ინსტრუმენტი აქ ძალზე იშვიათია (დღეს მთელ საქართველოში 5 მილენიანი ორგანია) და ამიტომ განსაკუთრებით დაფასებულია; მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ საორგანო სკოლას მრავალი პროფესიონალი ორგანისტი ჰყავს. თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ სამუშაოს, რაც იტალიაში შევასრულეთ, ცხადია, ჩვენი შრომა აქ, საქართველოში, გაცილებით ხანმოკლე იყო, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება უყოყმანოდ ვთქვათ, რომ ეს შესაძლებლობა ჩვენთვის დიდი საჩუქარი იყო!

თბილისში ამ ორგანის დაყენების შემდეგ კიდევ რას ისურვებდით?

ჩვენი და მამა ჯუზეპეს სურვილია, რომ ინსტრუმენტის შესახებ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეიტყოს, მოიწვიონ მუსიკოსები, გამართონ კონცერტები; ორგანი ხომ, თავისი მუსიკალური ასპექტის მიღმა, აღიქმება, როგორც მეტაფორა: „ერთობა მრავალფეროვნებაში“; ვინაიდან, როგორც ორგანის მრავალი მილი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ერთი განზრახვით გაერთიანებული, ქმნის ბგერით ჰარმონიას, ისე მრავალი ადამიანი, ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ გაერთიანებული რწმენაში, უნივერსალურ ჰარმონიას ქმნის. დარწმუნებულნი ვართ, რომ ლევ ოსიპოვი, ახალი ორგანის გაცნობისა და ადაპტირების ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, უკვე ნარმოაჩენს მის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით, ლიტურგიის დროს, საგალობელთა თანხლებით.

ჩანს, შინ ბედნიერი ბრუნდებით....

დიახ, ძალიან ბედნიერი... თუნდაც იმიტომ, რომ გასაოცარი მასპინძლობა გავგვინიეთ ამ ერთი თვის მანძილზე; გაგვაცანით ახალციხის, ახალშენის, არალის, გორის, ვალესა და რუსთავის საკრებულოები, ცოცხალი და სულიერად მდიდარი მრევლი; უშურველად დაგვითმეთ თქვენი დრო და მეგობრულად მიგვიღეთ. ასე რომ, დიდი მადლობა ჩვენგან!

დიდი მადლობა ჩვენგანაც...

საპატივსმელი კორესპონდენტი
თარგმანა ლალი ჩარკვიანა



გრიგორიანული გალობით გადმოსემული სახარების სიხარული

დიდმარხვის ჟამში ვიმყოფებით და ვის არ ახსოვს საგალობელი „Attende, Domine, et misere: quia peccavimus tibi“, X ს-ის მოზარაბული წარმოშობის ტექსტი, რომელიც გრიგორიანული მელოდის V კილოზე იგალობებოდა? ის ადვენტის ჟამის საგალობლის „Rorate coeli“ ტოლფასია, ან ასევე „Vexilla regis“, საგალობელი, რომლის სიტყვები ვენანციო ფორტუნატოს (530-607) პოემიდან არის აღებული, რომელიც ასევე ტოლფასია აღდგომის საგალობლისა „Ad cenam Agni providi“, რომლის ტექსტის ავტორია წმიდა ნიკეტა რემესიანელი (Niceta di Remesiana), V ს-ის ეპისკოპოსი და პოეტი; ვის არ ახსოვს აღდგომის სეკვენცია „Victimae pasqali laudes“, ან სულთმოფენობის საგალობელი „Veni Sancte Spiritus“? მართლაც რომ ამოუწურავია კათოლიკე ეკლესიის მემკვიდრეობა, რომელიც მუსიკალური ნოტებით

გადმოგვცემს სახარების ძალას, სიხარულსა და სიახლეს!

როგორია გრიგორიანული გალობა? ის მონოდიური (ერთხმიანი) ვოკალური მუსიკის მთელი კომპლექსია, რომელიც რომაული წესის ლათინური ეკლესიის ლიტურგიკულ წირვებში იგალობება. გრიგორიანული გალობის გასაგებად უნდა დავუბრუნდეთ ეკლესიის ებრაულ ფესვებს. წმიდა წერილის გალობის ტრადიცია ანუ კანტილაცია, ქრისტეს შობამდე ათასი წლით ადრე შეიქმნა. ძველ აღთქმაში, ფსალმუნებსა და ნეშტთა წიგნებში საუბარია მუსიკალურ ინსტრუმენტებსა და მუსიკის წამყვან როლზე სატაძრო ღვთისმსახურებაში. ისრაელელთათვის თაყვანისცემის ორი ფორმა იყო მისაღები: სისხლიანი შესაწირავი და საგალობელი ფსალმუნი, რომელშიც გამოხატულია მორწმუნის ქება და თხოვნა, როგორც ღვთისადმი შეწირული „სიტყვიერისაკმეველი“.

ვინაიდან დავითის ფსალმუნი საგანგებოდ იყო შედგენილი ღვთის თაყვანსაცემად და გამორჩეულ მესიანურ წიგნად აღიქმებოდა, პირველმა ქრისტიანებმა ის აირჩიეს ლოცვის წიგნად. ამიტომაც ახსენებდნენ მათ ასე ხშირად პეტრე, პავლე და მოციქული მამები თავიანთ ქადაგებებსა და ეპისტოლეებში. გარდა ამისა, ქრისტიანები, უფლის ჯვარზე თვითშენიერვას მიიჩნევდნენ ცხოველთა მსხვერპლშენიერვის დასასრულად. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ლიტურგია ფსალმუნისა და მსხვერპლშენიერვის კომბინაციას გვთავაზობს; აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ წირვის ტრადიციული რომაული წესი ფსალმუნიდან აღებული სტროფებით არის გაჯერებული და ეკლესიის კიდევ ერთი დიდი სახალხო ლოცვა, ჟამის ლიტურგია, ძირითადად ფსალმუნებზეა

აგებული. პირველი ქრისტიანები ებრაული წესით აგრძელებდნენ ფსალმუნებისა და სხვა ლოცვების გალობას, რაც მათთვის კარგად ნაცნობი იყო იერუსალიმის სატაძრო კულტიდან და სინაგოგებიდან მთელ რომაულ იმპერიაში. ზოგიერთი გრიგორიანული მელოდია, რომელიც დღემდე გამოიყენება, საოცრად უახლოვდება ებრაული სინაგოგის მელოდიებს, განსაკუთრებით ძველი სახარების ტონალობას, წინასიტყვაობის ტონალობას და ე.წ. „Tonus Peregrinus“-ს (მოხეტიალე ტონს).

ასევე, ბერძნულმა და რომაულმა მუსიკამ გავლენა მოახდინა ქრისტიანებზე, განსაკუთრებით გაითვალისწინეს რვა „კილოს“ სისტემის შემუშავებაში. მოგვიანებით ეს სისტემა დამოუკიდებლად განვითარდა ლათინურ და ბიზანტიურ გარემოში. ლათინური და ბიზანტიური საგალობლების უმეტესობა დღესაც რვა კილოშია მოქცეული, მაგრამ ერთადერთი, რაც ამ კილოებს აერთიანებს, არის მათი რვა ხმის რაოდენობა.

გრიგორიანული გალობის რეპერტუარი

გრიგორიანული გალობის რეპერტუარი ფართო და განსხვავებულია კომპოზიციის, ეპოქის, რეგიონული წარმოშობის, ფორმისა და სტილის მიხედვით. ის შედგება „ჟამთა ლიტურგიის“ საგალობლებისაგან: ანტიფონები, ფსალმუნები, ჰიმნები, საპასუხო ფსალმუნები და საგალობლები, წირვის საგალობლები უცვლელი ტექსტებით, როგორცაა: Kyrie, Gloria, Credo, Sanctus e Agnus Dei (კირიელეისონ, დიდება, მრწამსი, წმიდა არს და კრავო ღვთისაო), ასევე ლიტურგიული დროის მიხედვით შედგენილი კონკრეტული ტექსტები, როგორცაა: Introito, Graduale, Sequenza, Alleluia, Offertorio, Comunione (შესავალი, თანდათანობითი, თანმიმდევრობა, ალელუია - მარხ-



ვის დროს ჩანაცვლებული, ძღვენსა ზედა და ზიარება).

ისტორიის კვალდაკვალ

დღეს ყველაზე აღიარებული თეზისის მიხედვით, გრიგორიანული გალობის წარმოშობა ისტორიულად კაროლინგების დინასტიის პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, როდესაც კარლოს დიდი (748-814) შეეცადა ფრანკების ეკლესიის გაერთიანებას რომაული წესების შესაბამისად. სხვადასხვა ლიტურგიის ამგვარი გაერთიანება შეიძლება პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამონგეული იყო რომის ეკლესიის მიმართ კარლოს დიდის მონივნებითა და რწმენით. მან ცალსახად მოითხოვა გალობის განსხვავებული ტრადიციების გაერთიანება, განსაკუთრებით გალიურისა და რომაულის, რაც შემდგომ ცნობილი გახდა, როგორც „გრიგორიანული გალობა“, იმ ლეგენდის წყალობით, რომ თავად პაპი გრიგორი (დაბადებული დაახლ. 540 წელს, რომის პაპი 590 წლიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე, 604 წ.) იყო მისი ავტორი, თუმცა, ცხადია, მის შექმნაში მას მონაწილეობა არ მიუღია.

მართალია, პაპმა გრიგორმ რომში დააარსა Schola Cantorum, ანუ გალობის სკოლა, მისი წვლილი გალობის შექმნაში მხოლოდ ლიტურგიული რეფორმებით შემოიფარგლებოდა, რამაც, ცხადია, რომაულ ლიტურგიაში მუსიკალური პრაქტიკის კონსოლიდაციას შეუწყო ხელი.

შუა საუკუნეების გრიგორიანელმა კომპოზიტორებმა შექმნეს ფორმითა და მელოდიური სტრუქტურით მრავალფეროვან გალობათა რეპერტუარი, გენიალური და თანმიმდევრული სინთეზი, რომელმაც, როგორც ეს ხდება ჭეშმარიტ ხელოვნებაში, ჰარმონიულად შეაერთა nova et vetera: ძველი რომაული და გალიური გალობის სინთეზმა კი არ ჩაახშო ტრადიცია, არამედ განაახლა და განავითარა.

მომდევნო საუკუნეებში, განსაკუთრებით XII ს-დან, მხოლოდ მელოდიების თავდაპირველ წყაროს ბაძვდნენ, იქმნებოდა მუსიკალური ასლები სხვადასხვა ლიტურგიკაზე ადაპტირებული ტექსტებით. დაახლოებით 1300 წლიდან, ჯერ მენზურალიზმის (მუსიკალური რიტმი, დაფუძნებული ფიქსირებულ, მათემატიკურად გაზომვად მნიშვნელობებზე)

და შემდეგ XV-XVI სს-ში მრავალხმიანობისა და ახალი მუსიკალური ფორმების წარმოშობამ თავისი გავლენა იქონია გრიგორიანულ მელოდიებზე, რამაც პროგრესული ცვლილებები მოიტანა იმდროინდელ წეს-ჩვეულებებთან ადაპტირების კუთხით. ამგვარად, ორიგინალური მელოდიების სტრიქონების სულიერი და ექსპრესიული ძალა იმდენად დაკნინდა, რომ უკვე ამოუცნობი იყო XVI-XVII სს-ში გამოყენებულ ლიტურგიკულ ნიგნებში.

უძველესი ფრესკის მსგავსად, საუკუნეების მანძილზე რომ ჩამალულა ბათქაშის ფენებში, ეს საგალობლები ხელშეუხებლად რჩებოდნენ ანტიკურ ხელნაწერებში და ელოდებოდნენ, რომ ერთხელაც მზის შუქს იხილავდნენ. ეს დღეც დადგა XIX ს-ის პირველ ათწლეულებში, როდესაც, აბატ პროსპერ გერანჯერის (1805-1875) გამჭრიახობით, ბენედიქტელი ბერები სოლემის განახლებულ ფრანგულ სააბატოში დიდი მოთმინებით და ზედმინევით შეუდგნენ გრიგორიანული მელოდიების ლიტურგიულ და მუსიკალურ აღდგენას, რათა თავისი პირველყოფილი ბრწყინვალე დაებრუნებინათ რომის ეკლესიის წმიდა გა-

ლობისათვის. ვატიკანის მეორე კრება თავისი ავტორიტეტით დაამტკიცებს ამ საგალობელთა გამოყენებას შემდეგი სიტყვებით: „ეკლესია ცნობს გრიგორიანულ გალობას, როგორც საკუთრივ რომაული ლიტურგიისათვის დამახასიათებელს. ამიტომ, სხვა გარემოებათა თანახმობის პირობებში, მან ძირითადი ადგილი უნდა დაიკავოს“ (Sacrosanctum Concilium n. 116).

გრიგორიანული გალობის დახასიათება

სასულიერო გალობის ყველა ის ფორმა, რაც კი ეკლესიამ შეითვისა თავისი ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე, გრიგორიანული გალობა არის:

1. ყველაზე ლიტურგიკული

ლიტურგიიდან გამომდინარე, გრიგორიანული გალობა გვთავაზობს სხვადასხვა ტექსტებსა და მელოდიებს: გრძელი და მელიზმატური საგალობლები, როგორცაა, მაგალითად, გრადუალი და დილის რესპონსორიუმი, მხოლოდ ლიტურგიის მედიტაციისთვის განკუთვნილი, რომელიც მორწმუნეთა დასს ღმრთის ახლად გაცხადებულ სიტყვის გააზრებაში ეხმარება,

ხოლო პროცესიები სილაბური და მელოდიურად უფრო მარტივი გალობებითაა დაყოფილი, როგორცაა საგალობლები, რომელთა გალობაც ყველას შეუძლია და ა.შ. გრიგორიანული გალობა არ ქმნის ელიტარულ გარემოს, ხელმისაწვდომს მხოლოდ ერთეულებისთვის, ის არის გონივრული მისტაგოგია, რომელიც მორწმუნეთა დასს საკრალურისა და სინოდალურობის არსს შეაცნობს, რათა ყველაფერი ხდებოდეს ლამაზად და მონესრიგებულად, მხოლოდ ღმრთის სადიდებლად. ის ასპექტები, რომელიც მოკლედ აღვწერეთ, სხვა თვისებებთან ერთად, როგორცაა ლათინური ენის გამოყენება, ინსტრუმენტული თანხლების არარსებობა და სხვა, გრიგორიანულ გალობას აქცევს ნამდვილი სულიერების უტყუარ წყაროდ, რაც მლოცველ ადამიანს სრული თავმდაბლობით აყენებს უფლის წინაშე, როგორც ინდივიდს და როგორც მორწმუნეთა კრებულის წევრს, ამყარებს მას ღვთის სიტყვაში და ასწავლის ლოცვას ოჯახსა და ეკლესიაში, რომელიც თავისი ლიტურგიით აღნიშნავს და ათავისუფლებს ადამიანის დროს.

2. წმიდა წერილთან ყველაზე ახლოს

ყველა გრიგორიანული გალობის ტექსტი წმიდა წერილიდანაა აღებული, ან აშკარად მასთან დაკავშირებული; საგალობლის ტექსტი არასოდეს კარგავს თავის ღირსებას და უპირატესობას მუსიკაზე. გალობა სიტყვის სამსახურში დგას და არა პირიქით. ყველა სიტყვას თავისი ნოტი აქვს. გრიგორიანულ გალობებში მელოდია ტექსტის მუსიკალურობას ავითარებს, ხოლო სადაც მუსიკა სიტყვას სცილდება (მაგალითად, გრძელ მელიზმატურ პასაჟებში), ამ წუთებში, სწორედ ტექსტზე დასაფიქრებლად იქმნება სივრცე, იმ ტექსტზე, რო-



საგანგებო ჩანართი

მელიც მისი პირველწყაროა. მელოდია მხოლოდ გამოხატვის ან სიტყვის აქცენტირებას როდი ახდენს, მას ლამის ხელჩაკიდებული შეჰყავს მგალობლები და მსმენელები ტექსტის ღრმა, გამოუთქმელ, მაგრამ სრულიად რეალურ შინაარსში, როგორც ქეშმარიტ „lectio divina“-ს გალობაში სამოგზაუროდ.

3. მგალობელს ყველაზე მეტად მოეთხოვება ღმერთთან კავშირი

ის ფაქტი, რომ გრიგორიანული გალობა მონოდიურია, განაპირობებს იმას, რომ თითოეული მგალობელი, უპირველესად, მელოდიაზეა კონცენტრირებული, ანუ უფრო მეტად ზრუნავს, საკუთარი ხმა ერთადერთ მიზანთან - ღმერთთან ჰარმონიაში მოიყვანოს, ვიდრე სხვა ნაწილებთან.

ან. ფაქტობრივად, სოლისტი გალობს თუ გუნდი, ან მთელი ხალხი, მხოლოდ ერთი ხმა აღზევდება ზეციერ მამამდე ქებადიდებას ან ვედრებაში, გალობით ყალობდება ერთი გული და ერთი ხმა, რომელიც საკრებულოს და მთელი კაცობრიობის ხმად გარდაიქმნება. ვერცერთი სხვა გალობა ისე ვერ ეხება გულის სიმებს, რომ ზებუნებრივ რეალობამდე აამაღლოს და მთლიანად წარმართოს ღმერთისკენ, ამავე დროს, შეაგულიანოს მედიტაციაში და მდუმარე თაყვანისცემაში; არცერთი სხვა გალობა არ არის ესოდენ თავისუფალი კონკრეტული შეგრძნების ძიებისგან, აპლოდისმენტებისა და სიამოვნების ძიებისგან, როგორც ეს გრიგორიანულ გალობას ძალუძს; არცერთ სხვა გალობას არ შეუძლია თანაბრად იმეტყველოს

ყველა ენაზე და ყველა ხალხთან, განურჩევლად მსმენელის განათლებისა და კულტურისა, როგორც ეს შეუძლია გრიგორიანულ მელოდიას. მათი სიკეთე, უბრალოება და საყოველთაოება მათივე უკვდავი მშვენიერებისა და სულიერი ნაყოფიერების მიზეზია.

რამდენიმე მითითება გალობის ფორმაზე

მიუხედავად უცნაურობისა და სირთულის პირველი შთაბეჭდილებისა, რაც დაკავშირებულია უმეტესად ლათინურ ენასთან და თანამედროვეობისგან განსხვავებულ სანოტო ნიშნებთან, ძალზე მარტივად შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ იოლად იგალობება გრიგორიანული მელოდიების უმეტესობა, ყოველ შემთხვევაში ის, რაც საკრებულოს გალობისთვის არის განკუთვნილი: შეკავებულია ვოკალური დიაპაზონი, მელოდიური აგებულება მის დამახსოვრებას უწყობს ხელს, ხოლო მრავალხმიანობის არარსებობა მორწმუნეთა დასს უადვილებს გუნდთან უნისონში გალობას. მათ, ვინც დიდი მოთმინებითა და გულმოდგინებით ემსახურება ამ საქმეს, გრიგორიანული ქორალი მთელ თავის სიმდიდრეს, თავის სილამაზეს აჩვენებს, რასაც ფუნდამენტურად სულიერი ხასიათი აქვს. ამიტომაც, ვინც პირველად შეუდგება გრიგორიანულ გალობას, მას დიდი სიფაქიზე და გონიერება მოეთხოვება, რადგან გალობის სილამაზე აიძულებს ჰქონდეს მოსმენის სერიოზული დისციპლინა, თავმდაბლობა, რიტმისა და საგუნდო ხმისადმი მორჩილება: გრიგორიანული გალობის შესრულებისას საჭიროა ერთი გული და ერთი ხმა: უნდა გახდეს ერთიანი სხეული, რომელსაც აქვს საკუთარი სუნთქვა, საკუთარი სინარჩუნება, საკუთარი სიცოცხლე.



აბატი პროსპერ გერანჯერი

400 წელი წმიდა ქეთევან დედოფლის მონამეობიდან

საქართველოში კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისია წელს უკვე მეშვიდედ ჩაატარებს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას ეძღვნება. ყოველი ეს სამეცნიერო ფორუმი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მოღვაწეობის მნიშვნელოვან თარიღს უკავშირდება. წლევანდელი სიმპოზიუმი კი ეძღვნება მეტად მნიშვნელოვან თარიღს, წმიდა ქეთევანის, კახეთის დედოფლის, მონამეობიდან მეოთხასე წელს. ზოგიერთი ისტორიული წყაროს თანახმად კი, წელს წმ. ქეთევანის დაბადებიდან 450 წელიც სრულდება. ცხადია, ამ გამორჩეული თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან, ჟურნალ „საბასთან“ და კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოსთან ერთობლივი თანამშრომლობით, უკვე ორგანიზაციულ საქმიანობაშია ჩართული.

მეტად სასიხარულო სიახლეა, რომ სამეცნიერო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა საქართველოში მოქმედმა ქეთევან დედოფლის საზოგადოებამ, რომელიც რამდენიმე წელია რაც არსებობს; მისი დამფუძნებელია ისტორიის დოქტორი, ფაზისის აკადემიის წევრი, თამარ ფარჩუკიძე; იგი წმ. ქეთევანის მშობლიური მუხრანიდან არის წარმოშობით და ქეთევანი მისთვის განსაკუთრებით გამორჩეული წმიდანი და ისტორიული პიროვნებაა.


ქეთევან დედოფლის საზოგადოება წმ. ქეთევანის საიუბილეოდ სხვადასხვა კონკურსს, გამოფენას გეგმავს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს დიდი ქართველი მამულიშვილის ღვაწლი. კათოლიკე ეკლესიის კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისია ოფიციალურად ჩაერთვება ამ ღონისძიებებში, ასევე ქეთევან დედოფლის საზოგადოებაც მიიღებს მონაწილეობას სამეცნიერო სიმპოზიუმის მომზადებაში და, იმედია, საიუბილეო ღონისძიე-



ბების დასრულების შემდგომაც გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას კათოლიკე ეკლესიის კულტურის კომისიასთან, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა და ჟურნალ „საბასთან“.

რაც შეეხება წმ. ქეთევანის მონამეობის 400 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას, ველით, რომ იგი გამორჩეული იქნება იქ წარმოდგენილი მოხსენებების კუთხით, ისევე როგორც 2017 წელს ჩატარებული პირველი სიმპოზიუმი, სადაც იტალიელი მკვლევარის, კარლო ვურაკის მიერ წარმოდგენილი მოხსენება დემეტრე თბილელის შესახებ საფუძვლად დაედო ამ მივინყებულ თბილისელი კათოლიკე მონამის ხელახალ აღმოჩენას. ჩვენმა ადგილობრივმა კათოლიკე ეკლესიამ 2021 წელი წმიდა მონამე დემეტრე თბილელს მიუძღვნა. იმედია, მამა გაბრიელეს მცდელობა, დაუკავშირდეს წმ. ავგუსტინელთა ორდენს, რომლის წევრები გვერდში ედგნენ წმ. ქეთევანს მონამეობის დროს და რომელთა მეშვეობითაც შეიტყო ქრისტიანულმა სამყარომ ამ მონამეობის შესახებ, კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ავგუსტინელთა ორდენის არქივებიდან ახალ ცნობებს შევიტყობთ წმ. ქეთევანის მარტვილობის, ირანში მოღვაწე ავგუსტინელი ბერების თავდადებისა და მასთან დაკავშირებული ქართულ-ევროპული ურთიერთობების შესახებ.

სიხარულის ძიებაში: კლაივ სტეპლზ ლუისი



1963 წლის 22 ნოემბერს, ინგლისის ქალაქ ოქსფორდში, მოულოდნელად გარდაიცვალა დიდი ინტელექტუალი კლაივ სტეპლზ ლუისი (Clive Staples Lewis), ადამიანი, რომლის ლიტერატურული და ფილოსოფიური ნაწარმოებები მუდამ განსჯის საგანი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ის ართობდა და აღელვებდა მილიონობით ახალგაზრდას თავისი ფანტასტიკური ისტორიებით. მისი გარდაცვალების შესახებ ცნობა შეუმჩნეველი დარჩა დალასში მომხდარი ტრაგედიის გამო: სწორედ იმავე დღეს, ლუისის გარდაცვალებიდან ერთი საათის შემდეგ, მოკლეს ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი.

ლუისი იყო პოეტი, მწერალი, ფილოლოგი, თეოლოგი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, განათლებული და მომხიბვლელი ადამიანი. მას არასოდეს ჰყოლია შვილები, რომლებსაც სალამოობით ზღაპრებს უამბობდა, მაგრამ მან შექმნა ნამდვილი კლასიკური ნაწარმოები, ქრისტიანული სულიერებით გამსჭვალული ზღაპრების კრებული „ნარნიას ქრონიკები“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა. ლუისმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა ინგლისში და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე გახდა.

კლაივ სტეპლზ ლუისი 1898 წლის ნოემბერში დაიბადა ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში. იგი იზრდებოდა რელიგიურ ოჯახში; მისი დედა ირლანდიის ანგლიკანური ეკლესიის მღვდლის ქალიშვილი იყო. ლუისის მემუარების („სიხარულით გაოცებული“) თანახმად, იგი დაბადებისთანავე მონათლეს ირლანდიის პროტესტანტულ ეკლესიაში. ახალგაზრდობაში ლუისი დაინტერესდა ბერძნული მითოლოგიითა და ოკულტიზმით, სიმღერებითა და ლეგენდებით, ისლანდიის საგებში დაცული სკანდინავიის ძველი ლიტერატურით. ამ ლეგენდებმა მასში გააღვიძა რაღაც, რასაც მან მოგვიანებით უწოდა „სიხარული“. ლუისმა უარი თქვა ქრისტიანულ რელიგიაზე, გაიარა

ათეიზმის პირქუში გზა და, საბოლოოდ, მივიდა ისევ ქრისტიანობამდე, თუმცა დიდხანს ყოყმანობდა, რომელი კონფესია აერჩია. იგი ისევ ანგლიკანური ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა და თუ მანამდე გატაცებული იყო კელტების წარმართული მისტიციზმით, უკვე ქრისტიანული ღვთისმეტყველებით დაინტერესდა. რწმენამ ძლიერი გავლენა იქონია მის ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს რადიოგადაცემამ ქრისტიანულ თემებზე ლუისს მსოფლიო აღიარება მოუტანა. იგი წერდა ისტორიულ შრომებსა და წიგნებს ქრისტიანობის დასაცავად მსოფლიოში, რომელიც, როგორც თავად ხედავდა, შეუბრალებლად მიექანებოდა რელიგიური ინდიფერენტიზმისაკენ, მაგრამ ასევე ქმნიდა სამეცნიერო-ფანტასტიკურ ნაწარმოებებსა და რომანებს, მდიდარს სიმბოლური და მითური ნიშნებით.

შეიძლება უცნაურად ჩანდეს, რომ ოქსფორდის პროფესორი, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ინგლისური ლიტერატურის ლექტორი და ექსპერტი, ყველაზე მეტად ცნობილია თავისი ფანტასტიკური ნაწარმოებებით, მაგრამ სინამდვილეში, ლუისის ცხოვრებაში ფანტასტიკა მნიშვნელოვან სივრცეს იკავებს და, უწინარესად, მტკიცედ არის დაკავშირებული მწერლის მთელ სულიერ გზასთან.

ლუისი, „ნარნის ქრონიკების“ ბრწყინვალე ავტორი, წარმატებული მწერალი-მორალისტი, ირონიის მეშვეობით შესაძლებელს ხდიდა ხელახლა ამოეკითხათ ნაწარმოებში ქრისტიანული აზრი, ფესვგადგმული თანამედროვე ადამიანის გამოცდილებაში (როგორც ცნობილ „ბალამუტის წერილებში“). ქრისტიანული რწმენის დაბრუნებაში ლუისს დაეხმარა კოლეგა და მეგობარი ჯონ ტოლკინი, ინგლისელი ფილოლოგი, მწერალი და პროფესორი, ავტორი წიგნებისა „ჰობიტი“ და „ბეჭდების მბრძანებელი“. ტოლკინმა, რომელიც კათოლიკე იყო, შეძლო აეხსნა მისთვის, რომ განკაცება მოხდა დაცემული ადამიანის ხსნისათვის, რაც იყო პასუხი კაცობრიობისადმი, რომელიც მუდამ ძიებაშია. ლუისი თავად გახდა ამ პასუხის უშუალო მოწმე. აქედან მოყოლებული, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ღვთის კეთილი უწყების განხორციელების სურვილი, იდეალი, რომელიც რეალიზდებოდა ჭეშმარიტებისა და სიხარულის ძიებაში. ლუისი თავის ნაწარმოებებში მუდამ უბრუნდება ერთსა და იმავე თემას, ესაა სურვილი, გაურკვეველი, მაგრამ ძალიან ძლიერი სურვილი, რომელსაც ლუისი შეუპოვრად მიჰყვება მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ეს სურვილი იზრდება

მის სულიერ ევოლუციასთან ერთად, ბოლოს კი განისაზღვრება, როგორც სიხარული.

ამ ამოსავალი წერტილიდან ლუისი იბრძოდა მოდერნიზმის წინააღმდეგ, იმ შეცდომებისა, რომელიც თითქმის ნაწინასწარმეტყველებია მის ესეიში „ადამიანის განადგურება“, სადაც იგი აღწერს იმ დროს წარმოშობილ ტრანსჰუმანიტარული იდეოლოგიის პერსპექტივებს. ლუისმა აიღო ვალდებულება, რომ უკიდურესად სერიოზული ყოფილიყო ცხოვრებასთან მიმართებაში.

დედამიწა არის ადგილი, სადაც მოვიდა ძე ღვთისა, როდესაც ადამიანთა შორის ცხოვრება გადამწყვიტა. შესაბამისად, შეუძლებელია, არ გიყვარდეს სიცოცხლე მგზნებარედ და დიდი სერიოზულობით, მათდა განსაცვიფრებლად, ვინც აღმოჩნდება რალაც მშვენიერის, განუმეორებლის, ღვთაებრივის წინაშე. თუმცა, ამ სერიოზულობას, რომელიც ლუისმა ასევე განსაზღვრა ტერმინით „საზეიმო“, არ შეიძლება არ ახლდეს გარკვეული სიმსუბუქე, სიხარულის სიმსუბუქე. ცხოვრებისადმი სერიოზულობა არ არის სიხარულის ხელისშემშლელი მიზეზი. მართლაც: უმაღლეს საიდუმლოებათა განსჯას მივყავართ შინაგან სიმშვიდესა და ღრმა სიხარულამდე.





სულის ხსნა ერთადერთია, რასაც ნამდვილად აქვს აზრი...

პაპ ფრანცისკეს ენციკლიკა *Amoris Laetitia* (თ.253-257), მრავალ საინტერესო საკითხთან ერთად, სიკვდილის თემაზეც დაგვაფიქრებს, როდესაც ოჯახურ ცხოვრებაში სიკვდილს თავისი მწარე ნაღველი შეაქვს. პაპი წერს: „მესმის მათი ტანჯვა, ვინც დაკარგა ძალიან საყვარელი ადამიანი, მეუღლე, ვისთან ერთადაც ამდენი რამ გამოიარა. თავად იესოც შეიძრა სულით და აცრემლდა თავისი მეგობრის სიკვდილის გამო (შდრ. იოან. 11, 33-35). და განა შესაძლებელია, ვერ გავიგოთ მისი გოდება, ვინც შვილი დაკარგა? სინამდვილეში, „ეს დროის გაჩერებას ჰგავს: თვალნინ იშლება უფსკრული, წარსულსაც და მომავალსაც რომ შთანთქავს. (...) ზოგჯერ კი ღმერთსაც ვადანაშაულებთ. რამდენი ადამიანია (მესმის მათი) ღმერთზე განანწყენებული“. და იქვე მოგვიწოდებს, ღმერთისკენ მივმართოთ მზერა: „გლოვის გარკვეულ ეტაპზე, უნდა დაეხმარონ მგლოვიარე ადამიანს იმის გააზრებაში, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემდეგაც აქვს შესასრულებელი მისია, და რომ ტანჯვის გახანგრძლივებას სიკეთე არ მოაქვს ჩვენთვის, თითქოს ეს პატივის მიგების აქტი იყოს. საყვარელ ადამიანს არ სჭირდება ჩენი ტანჯვა და არც მათგანგებულა მისთვის, სიცოცხლეს რომ ვიმწარებთ. ის ვეღარ იქნება ფიზიკურად ჩვენთან, მაგრამ, თუკი სიკვდილი რაღაც ძლიერია, „ძლიერია სიკვდილივით სიყვარუ-

ლი“ (ქებ. 8.6). (...) რწმენა გვარწმუნებს, რომ აღმდგარი უფალი არასოდეს მიგვატოვებს. ამრიგად, შეგვიძლია ხელი შევუშალოთ სიკვდილს, რომ „სიცოცხლე არ მოგვინამლოს, ამაო არ გახადოს ჩვენი სიყვარული და არ მოგვაქციოს ყველაზე ბნელ სიცარიელეში“. ბიბლია საუბრობს ღმერთზე, რომელმაც სიყვარულით შეგვექმნა და იმგვარად გამოგვსახა, რომ ჩვენი სიცოცხლე სიკვდილით არ დასრულდეს“ (სიბრძ. 3, 2-3).

ჩვენ გვანუგეშებს მრავალი ქრისტესმიერი ძმის წმიდანობის ფარული მაგალითი. მათ შორის, გვსურს გავიხსენოთ კიარა კორბელისა და მისი მეუღლის, ენრიკო პეტრილოს მონუმეობა. მათი ცხოვრება რამდენჯერმე გადაკვეთა სიკვდილის მსახვრალმა ხელმა, თუმცა მათ რწმენას სინათლის სხივი ვერ მოაკლო. ქორწინების ის რამდენიმე წელი, რაც მათ ერთად გაატარეს, საუკუნო სიცოცხლისთვის ერთგვარ მზადებად იქცა. როდესაც მათი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს ეცნობი, გრძნობ, როგორი შეუდარებელი ნათლით გამოირჩევა იგი.

კიარამ და ენრიკომ თავიანთი პირველი ორი შვილი სიცოცხლესთან შეუთავსებელი მანკის მიზეზით დაკარგეს, მოგვიანებით შეიტყვეს, რომ მესამე შვილს ელოდებოდნენ. თითქმის იმავე დროს კიარას დაუდგინდა ენის ფუძის კარცინომა. იგი დათანხმდა ყველა-

ნაირ საჭირო მკურნალობაზე, რომელიც კი ორსულობასთან შესაბამისი იყო. დარჩენილი კურსი მან მშობიარობის შემდგომი პერიოდისთვის გადადო. ასე დაიბადა 30 მაისს ფრანჩესკო, ხოლო 3 ივნისს კი არას სიმსივნის ოპერაცია გაუკეთეს. სწორედ აქედან იწყება მისი გოლგოთის გზა. არც დაღევა შეუძლია და არც ჭამა, გაჭირვებით ლაპარაკობს, თუმცა თავის მდგომარეობაზე ხუმრობს კიდევ, ნყვილი ბევრს ლოცულობს, მაგრამ კიარამ არ იცის, უნდა თუ არა სასწაული. ნუთუ ეს განუმზადა უფალმა? როდესაც მეგობრები სტუმრობენ, ხუმრობს, რომ მათი მონახულება სიკვდილის მოახლოებას შეახსენებს. იგი საუბრობს ზეცაში ასულ შვილებზე, რომ მალე მოუწევს მათზე ზრუნვა.

12 ივნისის ღამეს, როცა სიკვდილი მოახლოვდა, ოთახში ექვარსტიულ ლიტურგიას აღავლენდნენ, რაც ლოცვის ნამდვილ ოაზისად იქცა და კიარა ბედნიერი გაეშურა ნეფესთან შესახვედრად. წერილში, რომელიც მან შვილს, ფრანჩესკოს მისწერა, ერთი ღამეზე ფრაზა გაიჟღერებს: „ჩვენ სიყვარულით ვიბადებით, ვცხოვრობთ იმისთვის, რომ გვიყვარდეს და უყვარდეთ, და ვკვდებით ღვთის ჭეშმარიტი სიყვარულის შესაც-

ნობად“. ეს იმ სიცოცხლისა და სიყვარულის სინთეზია, რომელმაც დაამარცხა სიკვდილი.

რამდენიმე წლის წინ ენრიკოს შევხვდი, ფრანჩესკოსთან ერთად, წმიდა პეტრეს მოედანზე. მან ისეთი რამ თქვა, რასაც რელიგიკვირებით გულში ვატარებ: „უფალმა მოგვცა ძალა, რომ სამოთხის ზღურბლზე ორი შვილი მიგვეცილებინა, ეს ჩვენთვის მადლი იყო... სამართლიანია ჩემი დაქვრივება? სამართლიანია, რომ ფრანჩესკოს დედა აღარ ჰყავს? არა. ეს არ არის სამართლიანი, მაგრამ ეს სიყვარულია, ეს მშვენიერი უსამართლობაა. კიარას ავადმყოფობასთან დაკავშირებით გვეუბნებოდნენ: მეტს ველარაფერს გააკეთებთ! ალბათ ბევრს უამბობენ ჩვენზე, არ დაუჯეროთ მათ, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს მოსამზადებელი დროა მამასთან შესახვედრად, მე და კიარას გვინდოდა ანთებული ლამპრებით დავლოდებოდით ნეფეს. ვლოცულობდით, ვმონანილეობდით წირვაში, ვეზიარებოდით აღსარების საიდუმლოს, განკურნების მადლსაც ვითხოვდით, რაც არ მოხდა, მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ვკითხეთ, რა შეიძლება იყოს ფიზიკურ განკურნებაზე მნიშვნელოვანი? სულის ხსნა - ესაა ყველაზე მთავარი...“. სულის ხსნა ერთადერთია, რასაც აქვს აზრი.

სულიერი პარტიზები



სულიერი წრთვნანი
მონღილებისა და ახალგაზრდებისთვის

წეროვანი
15-17 მატი 2024

უნიკომპოსი ვუბუე პანოტო

“და ამ კლდეზე მა...”
(მთ 16,18)

მედიტაციები პეტრე მოციქულის ირგვლივ

კონფერენცია

"კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში"
მძღვნება წმინდა ქეთევან დედოფლის მონაგმობის 400 წლისთავს

25-26 ივნისი | 2024
JUNE 25-26 | 2024

"Catholic Heritage in Georgia"
Dedicated to the 400th anniversary of the martyrdom of Saint Ketevan Queen

მ-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი
7th International Symposium

Deadline: 10th April

VENUE: SULKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY





ესპანური „ჩუროსი“

დიდი მარხვა, ტრადიციულად, იწყება ნაცრის ოთხშაბათიდან და გრძელდება ორმოცი დღე, აღდგომამდე. კათოლიკეები გამოყოფენ სამარხვო დღეების ორ ტიპს: მარხვის დღეებს და თავშეკავების დღეებს. სამარხვო დღეებში მორწმუნეებმა უნდა შეზღუდონ საკვების რაოდენობა; მათ შეუძლიათ დღეში მხოლოდ ერთხელ ისაძილონ, ისე რომ დანაყრდნენ, საუზმე და ვახშამი კი ძალიან მსუბუქი უნდა იყოს. თავშეკავების დღეებში ხორცი აკრძალულია, მაგრამ ნებადართულია რძის პროდუქტები და თევზი. წყალი, ჩაი და სხვა არაკალორიული სასმელები შეზღუდული არ არის მთელი დღის განმავლობაში. მაგრამ მარხვის აზრი მდგომარეობს არა მხოლოდ საკვებისაგან თავის შეკავებაში, არამედ სულიერ განწმენდაშიც. ამიტომ დიდი მარხვის დღეებში კათოლიკეებს ევალებათ თავი შეიკავონ მხიარულებისა და გართობისაგან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ლოცვას, აღასრულონ ღვთისმოსაობისა და გულმონყალების საქმეები, უარი თქვან საკუთარ თავზე, ერთგულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.

დიდმარხვის პერიოდში მორწმუნეებს შეუძლიათ გაამრავალფეროვნონ სამარხვო მენიუ. მაგალითად, ესპანელები დილაობით, საუზმეზე, ცხელ შოკოლადთან ერთად, მიირთმევენ „ჩუროსს“ (churros). ეს არის მსუბუქი ცომისაგან დამზადებული ფიგურული ფუნთუშები მარწყვის ჯემით.

ინგრადიენტები:

- 50 გრ. ნაღების კარაქი
- 65 გრ. ხორბლის ფქვილი
- 2 ცალი კვერცხი
- 350 გრ. მარწყვის ჯემი

ზეთი ფრიტიურისათვის (ფრიტიური - 130-180° ტემპერატურაზე გახურებული მცენარეული ცხიმი, რომელშიც იწვება სხვადასხვა პროდუქტი) შაქრის მინანქარი გემოვნებით

მოზადების წესი:

გააღნეთ კარაქი, დაუმატეთ 150 მლ. წყალი, მიიყვანეთ ადულებამდე. დაუმატეთ ფქვილი და გადმოდგით ცეცხლიდან. ათქვიფეთ ნარევი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ოდნავ გააგრილეთ. დაუმატეთ კვერცხები სათითაოდ და ათქვიფეთ, სანამ ცომი ბზინვარე და ერთგვაროვანი არ გახდება. გადაიტანეთ საკონდიტრო ტომარაში (სასურველია ვარსკვლავის ფორმის თავი გაუქუთოთ). აადუღეთ ღრმა ტაფაში ზეთი და დასვით იქვე ჩუროსის ფორმები. ცომი განყვიტეთ ბასრი, სველი დანით. შეწვით ორივე მხრიდან 1-2 წუთის განმავლობაში. ამოიღეთ ქაფქირით, გააშრეთ სამზარეულოს ქაღალდის ხელსახოცზე. გააცივეთ და ბოლოს მოაყარეთ შაქრის მინანქარი. სუფრასთან მიიტანეთ მარწყვის ჯემთან ერთად.

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ იტალიურ ენაზე

2008 წელს, მილანში მოღვაწე ცნობილი მეცნიერის, ქართველოლოგის, ქალბატონ ნინო ყაუხჩიშვილის მონადინებითა და თაოსნობით, დაარსდა იტალიურ-ქართული საზოგადოება „სამშობლო - გულით სატარებელი“ („Con la Georgia nel cuore“), რომლის მიზანი გახლდათ იტალიაში და, ზოგადად, დასავლეთ ევროპაში ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდა, იტალიელ და ქართველ ხალხს შორის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება. ვინაიდან ამ დროისათვის იტალიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა ჩამოყალიბდა, საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ემიგრანტი ქართველებისათვის, განსაკუთრებით კი მოზარდებისთვის, ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსების ორგანიზებაა. ასევე, საზოგადოების მნიშვნელოვანი დამსახურებაა ქართული სამრევლოს გახსნა მილანში. საზოგადოების ოფიციალურ დაფუძნებამდე კი, 2005 წლის 27 იანვარს, წმ. ნინოს ხსენების დღეს, ქალბატონმა ნინო ყაუხჩიშვილმა, მილანში მცხოვრებ ქართველებთან ერთად, დააარსა ქართული სათვისტომო და ამით მილანში ნინოების აღნიშვნის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

საზოგადოების „სამშობლო - გულით სატარებელი“ ღონისძიებებზე სშირად იწვევენ საქართველოზე შეყვარებულ ცნობილ იტალიელ მეცნიერებს, მწერლებს, დოკუმენტალისტებს, ფოტოხელოვანებს, მოგზაურებს, მთარგმნელებს... ყველას, ვისაც კი რაიმე წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, და ეს სწორი პრიორიტეტია, როგორც საზოგადოების ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნუნუ გელაძემ აღნიშნა თავის ერთ-ერთ წერილში, „ვინაიდან ერთია, როცა ჩვენ (ქართველები) ვაქებთ ჩვენსავე კულტურას, მეორეა, როცა ამას იტალიელები აკეთებენ. სწორედ ამიტომ ჩვენს ღონისძიებებს ყოველთვის აკადემიური ელფერი დაჰკრავს და ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს“.

საზოგადოება „სამშობლო - გულით სატარებელი“ დღემდე აგრძელებს ქალბატონ ნინო ყაუხჩიშვილის ნაანდერძევს, უანგაროდ ემსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციას არა მხოლოდ მილანში, არამედ იტალიის სხვადასხვა ქალაქში, უდინედან დანაყებული, ბარის ჩათვლით და ამ საქმიანობას სრულიად უანგაროდ ახორციელებს. „სამშობლო - გულით სატარებელი“ არავის არასოდეს დაუფინანსებია და რასაც აკეთებს,

მხოლოდ საკუთარი ხარჯითა და თვისტომელთა მწირი შემონირობებით, თუმცა ამ გარემოებას თავისი დადებითი მხარეც გააჩნია, საზოგადოება სახელმწიფო სტრუქტურებზე არ არის დამოკიდებული და თავის საქმიანობას მისივე წევრების რწმენის, პრინციპებისა და საშუალებების ფარგლებში ახორციელებს.

მიმდინარე წლის 28 იანვარს მილანში იტალიურ-ქართულმა საზოგადოებამ „სამშობლო - გულით სატარებელი“ დაარსებიდან უკვე მეცხრამეტე წინობა იზეიმა, რომელიც, ტრადიციისამებრ, ქართული კულტურის პოპულარიზაციას მიეძღვნა. ამჯერად საზოგადოებამ იტალიელ და ქართველ მკითხველს წარუდგინა ბერნის უნივერსიტეტის დოცენტის, მანანა ტოფაძის მიერ ქართულიდან იტალიურად თარგმნილი **სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“**, რომელიც, საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით, იტალიაში გამომცემლობა „ილ საჯომ“ გამოსცა. საღამო





გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, ნუნუ გელაძემ და ამ დიდებული თარგმანის ავტორს უსურვა საუკუნეების წინ დაწყებული მოგზაურობის კვლავ გაგრძელება მთელ იტალიაში.

პროფესორმა ფრანჩესკა მელციმ ისაუბრა ნაწარმოების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ სულხან-საბა ორბელიანის თვალთ დასახული იტალია და ევროპა ფრიად საინტერესოა იტალიელი მკითხველისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ავტორი უდიდესი სიზუსტით აღწერს მე-18 საუკუნის იტალიის ქალაქებს, ეკლესია-მონასტრებსა და ნაგებობებს, ასახავს ადგილობრივ სოციალურ ყოფასა და წეს-ჩვეულებებს. მთარგმნელმა მანანა ტოფაძემ ისაუბრა იმ ისტორიულ კონტექსტზე, რომლის ფონზეც შეიქმნა სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ და იმ გამოწვევებზე, რაც მე-18 საუკუნის ქართული ტექსტის თარგმანთან იყო დაკავშირებული; მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა წინასიტყვაობის ავტორს, საქართველოს ყოფილ ელჩს წმიდა საყდართან, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს და შესავლის ავტორს, ჟურნალისტ გაბრიელ ფონტანას.

გამომცემლობა „ილ საჯოს“ წარმომადგენლებმა, ჯუზეპე და ბერნიერო ბარამ, აღნიშნეს, რომ მკითხველი საბას მონათხრობიდან იღებს ისეთ ცნობებს, რომლებიც იშვიათად ან საერთოდ არ გვხვდება იმჟამინდელ იტალიურ წყაროებში: საბა დანვრილებით გვიამბობს რომის პაპთან პირადი საუბრების შესახებ და წარმოაჩენს მის უცნობ, ადამიანურ მხარეებს. ალესანდრა სარტორიმ აღნიშნა, რომ დიდია განცვიფრება, რომელიც მკითხველს ეუფლება ამ ნაწარმოების წაკითხვისას, როცა აღმოაჩენს, რომ ავტორი კარგად იყო ინფორმირებული მე-18 საუკუნის დასაწყისში ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე განვითარებული

მოვლენების შესახებ. ჯოვანი რიკენბახმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ ისტორიკოსებისთვისაც ფასდაუდებელი ტექსტია და დიდ დახმარებას გაუწევს მათ ეპოქის სურათის სრულყოფილად შესწავლისათვის.

რაც შეეხება წიგნს „მოგზაურობა ევროპაში“, მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ის სამი საუკუნის წინ შექმნა, მისი გაცნობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არათუ იტალიელი, არამედ ქართველი მკითხველისთვისაც კი მიუწვდომელი იყო. მიუხედავად სამი ასწლეულის გასვლისა, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობამ არ დაკარგა აქტუალობა, მათ შორის, ევროპელი მკითხველისთვისაც. საფრანგეთში და რომის პაპთან წარგზავნილი პირველი ქართველი ელჩის მიერ მოთხრობილი თავგადასავალი აცოცხლებს იმ ეპოქას, მისი ავტორის დამოკიდებულებას ევროპისადმი, უსაზღვრო სურვილს, რომ თავისი განწყობა და შთაბეჭდილებები გადმოეცა ქართლის მეფისათვის (სწორედ ესაა ამ წიგნის დაწერის მიზანიც). ეს წიგნი არის პირველი ქართული ნაწარმოები, რომელიც ასახავს ქართულ-ევროპული დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიას. ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ იტალიური გამოცემა მართლაც კარგი საჩუქარია როგორც იტალიელი, ასევე ევროკავშირში განწევრიანების უსაზღვროდ მსურველი ქართველი მკითხველისათვის.

დაბოლოს, ჟურნალ „საბას“ სახელით, გვსურს, მილანში მოქმედ იტალიურ-ქართულ საზოგადოებას „სამშობლო - გულით სატარებელი“ წარმატებები ვუსურვოთ, მისი წევრები, სრულიად უანგაროდ, მართლაც დიდ საქმეს აკეთებენ როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ასევე იტალიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა შორის ეროვნული სულისკვეთების განმტკიცებისათვის.



ვაჟა აზარაშვილი

ვაჟა აზარაშვილი 2024 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა 87 წლის ასაკში.

კათოლიკე ეკლესია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კომპოზიტორის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებს.

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი 1936 წლის 13 ივლისს დაიბადა. 1961 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი. 1994 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი. სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

კომპოზიტორი წერდა სიმფონიურ და საესტრადო ნაწარმოებებს, მუსიკას სპექტაკლებისა და სატელევიზიო ფილმებისთვის. მისი დაწერილია ცნობილი სიმღერები: „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“. პოპულარულია მისი სიმღერები: „სენტიმენტალური ტანგო“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „დინამო, დინამო“ და სხვა.

Catholic.ge

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი მესხი კათოლიკეების ოჯახიდან იყო. მას მთელი ცხოვრება კავშირი ჰქონდა ახალციხესთან, 2013 წელს კი ახალციხის საპატიო მოქალაქის ტიტულიც მიენიჭა.


„მუსიკის სიყვარული ჩვენს ოჯახს ოდითგანვე მოსდგამდა: მამაჩემი, შალვა აზარაშვილი, კონსერვატორიაში სწავლობდა და ძალიან კარგად მღეროდა - მას საუკეთესო ბარიტონი ჰქონდა. აზარაშვილები მესხეთში ცხოვრობდნენ და რადგან კათოლიკეები იყვნენ, „ფრანგებს“ ეძახდნენ. მერე თანდათან მართლმადიდებლები გახდნენ და მეც, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი ვარ“, - ამბობდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში.

„მამაჩემი, შალვა აზარაშვილი, ახალციხიდან წამოვიდა. მახსოვს, გვიამბობდა: თურქეთთან ომი და არეულობა რომ იყო, მამამ დაგვსხა ბავშვები ურემზე და გამოვეგმზავრეთო. დასახლდნენ ბორჯომში, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა“, - იხსენებდა კომპოზიტორი.

ბანსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



რაგაზ პარუნაშვილი
* 06. 05. 1966, უღე
† 27. 12. 2023, უღე



ელენე (ღარიკო) ვარდიკი
* 01. 05. 1938, არალი
† 30. 12. 2023, ახალციხე



ანა ბასაროვა-კულაკოვა
* 20. 09. 1931, თბილისი
† 03. 01. 2024, თბილისი



მავვალა რიჭაშვილი
* 27. 12. 1949, ვალე
† 04. 01. 2024, ვალე



ედუარდ მოსკაშვილი
* 14. 05. 1959, ბათუმი
† 08. 01. 2024, ბათუმი



გიორგი გოგილაშვილი
* 06. 03. 1963, გორი
† 10. 01. 2024, გორი



შალვა აზარაშვილი
* 10. 05. 1931, ახალციხე
† 27. 01. 2024, თბილისი



კეთევან ხითრაიშვილი
* 03. 01. 1941, ვალე
† 01. 02. 2024, ვალე




ნათელა ხითრაიშვილი
* 14. 04. 1957, უღე
† 02. 02. 2024, ვალე



ნიკოლოზ თეიჭაშვილი
* 15. 07. 1941, ვალე
† 13. 02. 2024, ვალე



ალქასანრა მიტარაშვილი
* 23.10. 1952, თბილისი
† 16. 02. 2024, თბილისი



ალისა-პოლვა ლეჭავაძე
* 15. 09. 1978, თბილისი
† 17. 02. 2024, თბილისი



ძიძგოტრეველობა თყრტყეთში

